



ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
რიგგარეშე სხდომის

(ო ქ მ ი) №8

ქ. ბათუმი

2019 წლის 31 მაისი
11⁰⁰ საათი

სხდომას თავმჯდომარეობდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - სულიკო თებიძე

მ ს შ რ მ ბ ო ღ ნ ე ნ :

ლაშა სირაბიძე

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;

გოჩა მგელაძე

საკრებულოს ინფრასტრუქტურის განვითარების კომისიის თავმჯდომარე;

ზურაბ ნაკაიძე

საკრებულოს საფინანსო და ეკონომიკური განვითარების კომისიის თავმჯდომარე;

დimitრი ჭეიშვილი

საკრებულოს ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;

ნატალია ზოიძე

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე;

თემურ კახიძე

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილე;

ბესარიონ გოგოტიშვილი

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილე;

ნატალია ძიძიგური	საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ თავმჯდომარე;
ნერიმან ცინცაძე	საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ თავმჯდომარის მოადგილე;
მირდატ ქამადაძე	საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე;
ნოდარ დუმბაძე	საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილე;
რაულ თავართქილაძე	საკრებულოს ფრაქცია „ბათუმის“ თავმჯდომარე;
არჩილ მამულაძე	საკრებულოს ფრაქცია „ბათუმის“ თავმჯდომარის მოადგილე;
ელგუჯა ანდრიაძე	საკრებულოს წევრი;
თამაზ დევაძე	საკრებულოს წევრი;
მუხამედ ართმელაძე	საკრებულოს წევრი;
ანზორ დევაძე	საკრებულოს წევრი;
დავით მახარაძე	საკრებულოს წევრი.
არ ესწრებოდნენ:	
თამაზ სალუქვაძე	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
ომარ მახარაძე	საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
ირაკლი პატარიძე	საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
ირაკლი თოფურაძე	საკრებულოს წევრი;
ლევან ანთაძე	საკრებულოს წევრი;

სხდომას ე ს წ რ ე ბ ო დ ნ ე ნ :

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოქმედი რეგლამენტით გათვალისწინებული საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეები: საკრებულოს აპარატის უფროსი - რაულ ბოლქვაძე; იურიდიული განყოფილების უფროსის მ/შ - ე. ჭოლიკიძე; საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი - მადონა თურმანიძე, ამავე განყოფილების უფროსი სპეციალისტი - მზევინარ წულუკიძე; მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი - ლელა ნემსაძე; ამავე განყოფილების უფროსი სპეციალისტი ბადრი წულუკიძე.

პრესისა და მასმედიის წარმომადგენლები.

საკრებულოს თავმჯდომარემ - ს. თებიძემ საკრებულოს წევრებს მიმართა საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით დღის წესრიგის გარშემო პროცედურულ საკითხებთან დაკავშირებით განცხადებების გაკეთების შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ დღის წესრიგთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 43-ე მუხლის მეოთხე პუნქტის შესაბამისად, საკრებულოს წევრი უფლებამოსილებას პირადი განცხადებით მოხსნის შესახებ წერილობით აცნობებს საკრებულოს თავმჯდომარეს მისი უფლებამოსილების შეწყვეტის მომენტად ითვლება შესაბამისი განცხადების რეგისტრაციის მომდევნო დღე, რასაც საკრებულო იღებს ცნობად და ასახავს საკრებულოს სხდომის ოქმში, შესაბამისად აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არ არის საჭირო განკარგულების მიღება, რასთან დაკავშირებითაც მან საკრებულოს წევრებს გააცნო როინ ზოიძის განცხადება, რომელიც ტოვებს საკრებულოს მანდატს, რომელსაც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად 28 მაისიდან უწყდება საკრებულოს წევრის უფლებამოსილება, რაც საკრებულოს მიერ მიღებული იქნა ცნობად.

სხდომის თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ საკრებულოს თანამდებობის პირს ნებისმიერ დროს შეუძლია განაცხადოს გადადგომის შესახებ, რის თაობაზეც ის მიმართავს საკრებულოს თავმჯდომარეს. ამასთან დაკავშირებით მან საკრებულოს წევრებს წარუდგინა იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მიმდინარე წლის 27 მაისის განცხადება, სადაც ომარ მახარაძე ითხოვს საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის თანამდებობიდან განთავისუფლებას, ასევე ითხოვს ფრაქციიდან „ქართული ოცნება-მრეწველები“ გასვლას. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 43-ე მუხლის მეოთხე პუნქტის შესაბამისად თანამდებობის პირს უფლებამოსილება უწყდება შესაბამისი ფაქტის დადგომის მომენტიდან. გამომდინარე აქედან 28 მაისიდან, განცხადების რეგისტრაციის მომდევნო დღიდან ომარ მახარაძე ითვლება საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის თანამდებობიდან განთავისუფლებულად და შესაბამისად, ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველები“ გაუქმებულად. მას მიზანშეწონილად მიაჩნია დღის წესრიგის პირველი და მეორე საკითხის ცნობად მიღება.

საკრებულოს წევრმა ლ. სირაბიძემ წამოაყენა წინადადება, დღის წესრიგით გათვალისწინებული მეოთხე საკითხი განხილულ იქნას პირველ საკითხად.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს, საკრებულოს წევრებს ცვლილების (პირველი და მეორე საკითხის ცნობად მიღება და მეოთხე საკითხის პირველ საკითხად განხილვა) გათვალისწინებით გააცნო დღის წესრიგი:

დღის წესრიგი:

1. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ“ ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილებს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი - ელენე ჭოლიკიძე)

2. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის განვითარების კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 ნოემბრის №70 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილებს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი - ელენე ჭოლიკიძე)

3. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 ნოემბრის №73 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილებს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი - ელენე ჭოლიკიძე)

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი დღის წესრიგი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: - 19 საკრებულოს წევრი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 19

წინააღმდეგი - 0

საკრებულოს თავმჯდომარემ - ს. თებიძემ საკრებულოს წევრებს მიმართა საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით მოკლე განცხადებების გაკეთების შესაძლებლობის თაობაზე.

საკრებულოს წევრმა მ. ქამადაძემ აღნიშნა გუშინდელი ფაქტის შესახებ, მძიმეა ბათუმის საკრებულოსა და მერიის მუშაობა, მას ხშირად უსაუბრია კორუფციის თაობაზე კონკრეტული ფაქტებით, მაგრამ ქართული ოცნება სამწუხაროდ პრობლემას ვერ ხედავდა. ხვალ და ზეგაც დადგება ასეთი ფაქტები: სასაფლაოებთან, ავტობუსების შესყიდვასთან დაკავშირებით, მაგრამ არავინ ხმას არ იღებს. მან უმრავლესობის წევრებს მიმართა, რომ ქართული ოცნების წევრებმა ხელი არ უნდა გაიშვიროს იმ ადამიანებისკენ, რადგან დანაშაულში თანამონაწილეობა ეკისრებათ ქართულ ოცნე-

ბას-საკრებულოს უმრავლესობას, საკრებულოს წევრებს, რომ შეესრულებინათ მაკონტროლებლის ფუნქცია, სხდომებზე ერთხელ მაინც მერიის სამსახურის უფროსები რომ დაეხმარებინა და მოეთხოვა, თუ სად იხარჯებოდა თანხები, ამ პრობლემის წინაშე არ დადგებოდა საზოგადოება. ამ ფაქტით დანახულია, რომ ქართულმა ოცნებამ რეალურად შექმნა ძალიან ცუდი და მახინჯი სისტემა. ფაქტიურად, ქართული ოცნების ხელისუფლების პირობებში რიგითი საჯარო მოხელეები პოტენციურ დამნაშავედ გამოაცხადა. მაგალითად არჩილ ვანაძე, რომელიც მოვიდა ბათუმის მერიაში სტაჟიორად და დაიწყო მუშაობა, ყველა საფეხურის გავლით მიაღწია თანამდებობას. დღეს ა. ვანაძის პირველი შემთხვევა არ არის, 2014 წელში მას ბრალი წაუყენეს და ამ საქმეში მის კოლეგასთან ერთად თვითონ იყო ადვოკატი, რომელიც საქმეში გამართლდა. მერიაში მუშაობს სატენდერო, აღიარების კომისია, მაგრამ უნდა ვიფიქროთ რომ ბ. ხალვაშს, ა. ვანაძეს, თ. პეტრიძეს არავინ არაფერს არ ეკითხებოდნენ და არც იღებდნენ გადაწყვეტილებას. პასუხისმგებლობა ეკისრება ქართულ ოცნებას და საკრებულოს თითოეულ წევრს, რადგან ვერ გაბედა ვერც ერთმა, რომ მერიის სამსახურებზე დაეძახათ და ანგარიში მოესმინათ. გამომდინარე აქედან, მიმართა უმრავლესობას, პოლიტიკური პასუხისმგებლობის აღების თაობაზე, რომ საჯარო მოხელეები არიან მსხვერპლი მახინჯი სისტემისა. ის, ხმამაღლა აცხადებს, რომ პირადად იღებს თავდებობას ამ ადამიანებზე, საქმეზე ჭეშმარიტების დადგენისათვის, ასეთი რიგითი ადამიანებისთვის პატიმრობაში ყოფნა დანაშაულია.

საკრებულოს წევრმა ა. მამულაძემ აღნიშნა, რომ წინსწრებით ვერ გამოკვეთავს ვინ არის დამნაშავე და ვინ არა, ამას გამოძიება დაადგენს. ხელისუფლებას შემდგომისათვის მოუწოდა, რომ გაითვალისწინონ მათი წარსული და კვალიფიციურობა.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ხელისუფლებაში კანონი უზენაესია და დარწმუნებულია, რომ გამოძიება მიიღებს სწორ გადაწყვეტილებას, შემდგომში სამსჯელოა სად არის ბრალეულობა და ვის ეკისრება პასუხისმგებლობა. წინასწარ ამ თემაზე საუბარი არ მიაჩნია მიზანშეწონილად.

საკრებულოს წევრმა რ. თავართქილაძემ აღნიშნა, რომ ნებისმიერი სახელმწიფოს ვალდებულებაა კორუფციასთან ბრძოლა. ის ფიქრობს, რომ ყოფილი მერის გ. ერმაკოვის მიმართ ბევრი შეკითხვა ისმებოდა, გამოძიება დაადგენს და ის ადამიანები, სისხლის დანაშაულის ჩამდები პასუხისმგებლობაში იქნებიან მიცემულნი.

საკრებულოს წევრი ზ. ნაკაიძე გამოეხმაურა ფაქტს მერიიდან 7 ადამიანის დაკავების თაობაზე, ყველა მისი მეგობარია, რომელთა მიმართაც დარწმუნებულია პატიოსნებაში და პროფესიონალიზმში, პროკურატურის მხრიდან დაისვა კითხვები და დღევანდელ თავისუფალ სასამართლოში გაეცემა პასუხები.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ განაცხადა, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დაწყების და სხდომის განახლების თაობაზე.

მ თ ი ს მ ი ნ ე ს :

1.„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ“ ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილებს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი - ელენე ჭოლიკიძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 24-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად, საკრებულოს უფლებამოსილების ვადით არჩეულ უნდა იქნას ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საკრებულოს წევრთა 1/5-ს შეუძლია დაასახელოს კანდიდატურა, მიმართა საკრებულოს წევრებს კანდიდატურის დასახელების თაობაზე.

საკრებულოს წევრმა ნ. ზოიძემ დაასახელა საკრებულოს წევრის თემურ კახიძის კანდიდატურა, რომელსაც ხელს აწერს 6 საკრებულოს წევრი.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად, საკრებულოს თანამდებობის პირების არჩევის პროცედურულ საკითხებს საკრებულოს სხდომაზე უზრუნველყოფს ქალაქ ბათუმის საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია, ბიუროს გადაწყვეტილებით კომისიის თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებს ა. მამულაძე, ამდენად, შემდეგი საარჩევნო პროცედურების ჩატარება დაავალა საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის წევრს ა. მამულაძეს.

კომისიის თავმჯდომარემ ა. მამულაძემ კომისიის წევრთაგან აირჩია ფარული კენჭისყრის პროცედურებში მონაწილე კომისიის წევრები იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის შემადგენლობიდან: ნ. ზოიძე, მ. ქამადაძე, რომელმაც უარი განაცხადა, რ. თავართქილაძე და დ. ჭეიშვილი. მან განუმარტა პროცედურები, რომ გამოძახებული იქნება სიის მიხედვით თითოეული საკრებულოს წევრი, მიიღებს მანდატს ბეჭედ დასმულს ხელმოწერით კომისიის თავმჯდომარის მიერ, თითოეული საარჩევნო კაბინეტში დააფიქსირებს თავის პოზიციას. ხმების დათვლის შემდეგ გააცნობს კომისიის ოქმის საფუძველზე შედეგებს. კომისიის თავმჯდომარემ დაავალა საკრებულოს წევრთა რეგისტრაციაში გატარება და პასუხისმგებლობა ნ. ზოიძეს.

საკრებულოს წევრმა მ. ქამადაძემ აღნიშნა, რომ კანდიდატის პოზიცია მოვისმინოთ, თანხმაა თუ არა კომისიის თავმჯდომარეობაზე, ასევე მის მიმართ კონკრეტული კითხვებია.

კომისიის თავმჯდომარემ სიტყვის უფლება მისცა ნ. ზოიძეს თემურ კახიძის დასახასიათებლად.

ნ. ზოიძემ აღნიშნა, რომ გამოცდილება აქვს აჭარის უმაღლეს საბჭოში იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტში მუშაობისა, გარდა ამისა სხვადასხვა მიმართულებით დაგროვილი აქვს გამოცდილება, იმისთვის, რომ ქალაქის საჭირობოტო საკითხები ქალაქის სასარგებლოდ გადაწყვიტოს.

საკრებულოს წევრმა თ. კახიძემ აღნიშნა, რომ კომისიის თავმჯდომარეობის დანიშვნასთან დაკავშირებით იყო მსჯელობა, ვარ თუ არა თანახმა. ის საკრებულოში ახალი წევრია, მისთვის საპასუხისმგებლოა ის მომენტი, როდესაც მეცნიერი და იურისტი ო. მახარაძე ხელმძღვანელობდა კომისიას, ყველა მისი ნაბიჯები და შემოსვლა საკრებულოში არის იმისათვის, რომ ბათუმმა და ბათუმელებმა მიიღოს ყველაზე მეტი სარგებელი ამ პოზიციიდან. რაც შეეხება მის გამოცდილებას ის 2012-2016 წლის მოწვევის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მოადგილე იყო, შემდგომ 2 წელი ამავე კომისიას ხელმძღვანელობდა. ეს იყო რთული პერიოდი უმაღლესი საბჭოს ისტორიაში, სადაც თავი წარმატებით გაართვა.

საკრებულოს წევრმა მ. ქამადაძემ დაუსვა კანდიდატს კითხვა, რეგლამენტის დაცვით შემოსულ ამა და ამ ქუჩაზე სახელდებასთან დაკავშირებით საკითხი, საკრებულომ განიხილოს უნდა თუ არა, რაზედაც თ. კახიძემ განაცხადა, რომ ამ კითხვაზე პასუხს არ გაცემდა, რადგან დეპუტატთა გადაწყვეტილებით იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ არჩევის შემდეგ ყველა პროცედურულ საკითხებთან დაკავშირებით ისაუბრებენ. მისი უპირველესი ამოსავალია კანონი, ადგილობრივი თვითმართვებლობის კოდექსი და საკრებულოს რეგლამენტი. რაც შეეხება პირად მოსაზრებებს კომისიის თავმჯდომარედ არჩევის შემდეგ კომისიის სხდომებზე ისაუბრებენ და მიიღებენ გადაწყვეტილებას.

საკრებულოს წევრმა მ. ქამადაძემ გააკეთა განცხადება, რომ ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ კენჭისყრაში არ მიიღებს მონაწილეობას, რადგან ეს არის წმინდა ფორმალობა.

გაიმართა ფარული კენჭისყრის პროცედურა.

კომისიის თავმჯდომარემ დაითვალა ბიულეტენები და გამოაცხადა შედეგები:

კომისიის თავმჯდომარემ გააცნო იურიდიული და საპროცედურო საკითხთა კომისიის ოქმი, რომლის თანახმად, ქალაქ ბათუმის საკრებულოს წევრის თემურ კახიძის ქალაქ ბათუმის საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარეობის თანამდებობაზე არჩევის შესახებ ფარული კენჭისყრის დასრულების შემდეგ კომისიის წევრების მიერ დათვლილი ბიულეტენების შედეგების შედეგად გამოვლინდა:

ქალაქ ბათუმის საკრებულოს წევრის თემურ კახიძის ქალაქ ბათუმის საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თანამდებობაზე არჩევის შესახებ ფარულ კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 17 საკრებულოს წევრმა.

ბიულეტენების რაოდენობა - 24

ბათილი ბიულეტენი - 0

გამოუყენებელი ბიულეტენი - 7

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 17

წინააღმდეგი - 0

იურიდიული და საპროცედურო საკითხთა კომისიის სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ არჩეული იქნა საკრებულოს წევრი თემურ კახიძე.

ეთხოვოს სხდომის თავმჯდომარეს ხელი მოაწეროს განკარგულების პროექტს.

დ ა ა დ გ ი ნ ე ს :

**მიღებული იქნა წარმოდგენილი
განკარგულების პროექტი.**

საკრებულოს წევრმა ლ. სირაბიძემ მადლობა მოუხადა ო. მახარაძეს გაწეული მუშაობისათვის, რომელიც გარკვეული მიზეზების გამო დღეს არ არის საკრებულოს სხდომაზე. ასევე მიულოცა თ. კახიძეს დაკავებული პოზიცია და უსურვა წარმატებები.

მ ო ს მ ი ნ ე ს :

2. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის განვითარების კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 ნოემბრის №70 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილებს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი - ელენე ჭოლიკიძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წინამდებარე პროექტის მიღება განპირობებულია ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2019 წლის 27 მაისს საკრებულოს წევრ როინ ზოიძის მიერ წარმოდგენილი განცხადებით, რომლის თანახმადაც მან მიიღო გადაწყვეტილება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოდან გასვლის შესახებ. შესაბამისად საჭიროა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის განვითარების კომისიის პერსონალურ შემადგენლობაში ცვლილების შეტანა და როინ ზოიძის გასვლა მისი შემადგენლობიდან.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 17 საკრებულოს წევრი
არ ესწრებოდა - 2 (ნ. დუმბაძე, ა. მამულაძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 17
წინააღმდეგი - 0

დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ ო ს მ ი ნ ე ს :

3. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 ნოემბრის №73 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილებს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი - ელენე ჭოლიკიძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წინამდებარე პროექტის მიღება განპირობებულია ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2019 წლის 27 მაისს საკრებულოს წევრ ომარ მახარაძის მიერ წარმოდგენილი განცხადებით. საკითხი ეხება საკრებულოს

იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის პერსონალურ შემადგენლობას, რომელშიც ო. მახარაძე დაფიქსირებული იყო, როგორც კომისიის თავმჯდომარე, ვინაიდან დღეს განვითარებული მოვლენების შედეგად არჩეული იქნა ახალი კომისიის თავმჯდომარე, წარმოადგინა პროექტი შესაბამისი ჩანაწერით, ცვლილებით, რომელშიც დაფიქსირებული იქნება თ. კახიძე, როგორც კომისიის თავმჯდომარე.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი, ცვლილების გათვალისწინებით დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 17 საკრებულოს წევრი
არ ესწრებოდა - 2 (ნ. დუმბაძე, ა. მამულაძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 17
წინააღმდეგი - 0

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი, ცვლილების გათვალისწინებით.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე:

სულიკო თებიძე

ოქმის სისწორეს
ვადასტურებ:

რ. ბოლქვაძე — საკრებულოს აპარატის უფროსი

ვიზირებულია:

ე. ჭოლიკიძე - საკრებულოს აპარატის იურიდიული
განყოფილების უფროსის მ/შ

მ. თურმანიძე საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა
და ადამიანური რესურსების მართვის
განყოფილების უფროსი

ოქმი შეადგინა:

მ. წულუკიძე — საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა
და ადამიანური რესურსების მართვის
განყოფილების უფროსი სპეციალისტი